ფრე დაძაბულ ბრძოლაში

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი, 20 სექტემბერი. მოღრუბლულობა. დროდადრო წვიმა. 16 გრადუსი. 41 000 მაყურებელი.

“დინამო” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) 0:0

მოსკოვი: იაშინი, ივანოვი, მუდრიკი, გლოტოვი, მასლოვი, ცარიოვი, ჩისლენკო, გუსაროვი (კოროლენკოვი - 34), ავრუცკი, ბობკოვი, ვშივცევი.

თბილისი: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია (მაისურაძე - 80), მეტრეველი, მესხი.

მსაჯი მ. პინსკი გვერდითი მსაჯები გ. ალექსეევი და ი. სერგიენკო (ყველა ხარკოვი).

მოსკოვის ‘‘დინამომ’’ ჩემპიონატის პირველი წრე 14 ქულით დაამთავრა. სატურნირო ცხრილში მას მხოლოდ მოკრძალებული მე-11 ადგილი ეკავა. მაგრამ დაიწყო მეორე წრე და ერთ-ერთმა აუტსაიდერმა თავისი ‘‘საქმეები’’ დიამეტრალურად შეატრიალა. იგი დღესდღეობით ‘‘კვალში უზის’’ ლიდერებს და საკმაოდ უსიამოვნო პერპექტივას უქმნის IV ადგილზე მყოფ არმიელთა გუნდს, რომელსაც ზურგსუკან დინამოელთა ცხელი სუნთქვა ესმის. ერთი სიტყვით, სპეციალისტებს შორის ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ მოსკოვის ‘‘დინამო’’ აღმავლობის გზაზეა და ჩემპიონატის ახლანდელ ეტაპზე შესაძლოა უძლიერეს კოლექტივადაც მივიჩნიოთ.

ასეთ პირობებში დინამოელთა წინააღმდეგ თამაში და ისიც მისსავე მოედანზე იოლი საქმე როდია. მაგრამ თბილისის ‘‘დინამოს’’ უკან დასახევი გზა თითქმის მოჭრილი აქვს. ჩემპიონის პრესტიჟი პრესტიჟად, მაგრამ თბილისელები დღეს უმთავრესად სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებაზე ფიქრობენ. ამიტომ მათი პრეტენზიები დედაქალაქის თანაკლუბელთა მიმართ გაბედულიც იყო და საფუძვლიანიც. ჩემპიონის სურვილი გამარჯვების მიღწევა იყო, მაგრამ უარეს შემთხვევაში მას აღნიშნული მატჩიდან ქულა მაინც უნდა აეღო. ვფიქრობ, თბილისელებმა ამოცანა წარმატებით შეასრულეს.

შეხვედრის პირველ ნახევარში სტუმრები მოგებაზე თამაშობდნენ. ეს აშკარად იგრძნობოდა მთელი 45 წუთის მანძილზე. ისინი უტევდნენ მწვავედ, თავგამოდებით იცავდნენ თავს და რაც მთავარია, მეტოქეზე ნაკლებ შეცდომებს უშვებდნენ. ანგარიში რომ არ გაიხსნა, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, რომელთა შორის მთავარია სველი გრუნტი და თავდამსხმელთა უზუსტო დარტყმები. ისე კი, ვიმეორებ, მონდომება და თავგანწირვა არც ერთ გუნდს არ აკლდა.

შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. თბილისელები, ჩემი აზრით, დაიღალნენ და ამიტომაც გახშირდა მცველთა შეცდომები. ინერტულად მოქმედებდა თავდასხმაც. აი, სწორედ ამ პერიოდში მოსკოველებს შეეძლოთ წარმატებაზე ფიქრი, მაგრამ თავიანთი კოლეგების მსგავსად, თავდასხმაში ისინიც ბევრს სცოდავდნენ. მატჩის ბოლო წუთებში ჩემპიონი კვლავ გააქტიურდა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. შეხვედრა დამთავრდა ფრედ - 0:0.

ნ. სერგეევი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

აღნიშნული გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაც ფრედ დამთავრდა-1:1. გოლები გაიტანეს ანიჩკინმა (მოსკოვი) და ძიძიგურმა (თბილისი)

“ლელო” 21 სექტემბერი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 21.09.65.